მოლოდინების კვლევა საბანკო დეპოზიტების დაზღვევის შესახებ

ირმა ნადირაძე

თამარ დეკანაძე

ხათუნა კუზანაშვილი

ჯგუფი #42

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

სარჩევი

აბსტრაქტი....3

შესავალი....5

პრობლემა და კონტექსტი....7

ლიტერატურის მიმოხილვა....11

1.1 დეპოზიტების დაზღვევის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები....11

1.2 კვლევების ანალიზი - მსოფლიო პრაქტიკა....12

1.3 დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა....21

1.4 სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი მონაწილეობა....22

პროექტის მიზანი და ამოცანები (კითხვა/კითხვები ან/და (ჰიპოთეზა))....23

2.1 მიზანი:....23

2.2 ამოცანები:....23

2.3 საკვლევი კითხვები:....23

2.4 ჰიპოთეზა:....23

კვლევის მეთოდოლოგია....24

3.1 კვლევის დიზაინი....24

3.2 კვლევის პროცედურა....24

3.3 შერჩევის კრიტერიუმები....25

3.4 კვლევის შეზღუდვები....25

მონაცემების ანალიზი....26

4.1 საქართველოს კანონი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ....26

4.2 დეპოზიტების დაზღვევის შესახებ კანონის პროექტის მიმოხილვა....27

4.3 ისლანდია და კვიპროსი (დაზღვევის სისტემის უუნარობა)....28

4.4 კანონ-პროექტი....28

4.5 ეროვნული ბანკი....35

4.5 ლიბერთი ბანკი....37

დისკუსია/ დასკვნა....39

დანართი #1....43

ბიბლიოგრაფია....47

აბსტრაქტი

მსოფლიოს ქვეყნებისთვის დეპოზიტების დაზღვევის სისტემის არსებობა საბანკო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილია. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე კი საქართველოში იკვეთება სხვადასხვა პოზიცია ბანკების და დეპოზიტარების მხრიდან. ბანკები სკეპტიკურად უყურებენ ახალ კანონპროექტს და თვლიან, რომ სისტემის ამოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს, ხოლო მომხმარებლები პირიქით, სისტემის დანერგვის აუცილებლობას ხედავენ.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღებას თან ახლავს თავისი დადებითი და უარყოფითი ეფექტები. კვლევაში განსაზღვრულია მსოფლიო პრაქტიკაზე დაყრდნობით რა შედეგი მოჰყვება საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებას.

თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე კვლევაში ნაჩვენებია ბანკების და მომხმარებლების მოლოდინები და კანონპროექტის შეფასებები როგორც დადებით, ასევე უარყოფით ჭრილში.

კვლევაზე დაყრდნობით დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება გაზრდის ბანკებისადმი ნდობას, რაც გულისხმობს გაზრდილ დეპოზიტარებისა და დეპოზიტების რაოდენობას, რაც გულისხმობს ბანკებისთვის გაზრდილ შემოსავლებს, ხოლო დეპოზიტარებისთვის დაცულ უფლებებსა და ინტერესებს.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: მსოფლიო პრაქტიკა; დეპოზიტების დაზღვევა; კანონპროექტი.

Abstract

The existence of deposit insurance system for the countries of the world is an important part of the banking sector. Depending on the results of the survey, various positions from banks and depositories are different in Georgia. Banks are skeptical about the new draft law and think that the system is not a necessity, and users see the need to implement the system.

Deposit insurance has its positive and negative effects. The study is based on world practice, which results in the launch of deposit insurance system in Georgia.

On the basis of qualitative and quantitative data the survey shows expectations of banks and consumers and assessment of the draft law in positive and negative terms.

Based on research, the introduction of deposit insurance system will increase confidence in banks, which means the number of deposits and deposits increased, which means increased incomes for banks and the rights and interests protected by depositors.

Key thematic search terms: world practice; Deposit insurance; Draft law.